საქართველოს სახალხო დაცველი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 124

8 ივლისი, 2019 წელი
ქ. თბილისი

2019 წლის 20-21 ივნისს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების სავარაუდო გადამეტების ფაქტზე მიმდინარე სისხლის სამართლის საქმის შესწავლის პროცესში სახალხო დამცველის საკონსულტაციო საბჭოს შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ

„საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 26-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის დებულების (დამტკიცებული საქართველოს სახალხო დამცველის 2018 წლის 18 დეკემბრის #459 ბრძანებით) 30-ე მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. 2019 წლის 20-21 ივნისს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების სავარაუდო გადამეტების ფაქტზე მიმდინარე სისხლის სამართლის საქმის შესწავლის პროცესის მიზნებისთვის შეიქმნას სახალხო დამცველის საკონსულტაციო საბჭო და დამტკიცდეს მისი დებულება თანდართული სახით (დანართი #1).

2. ბრძანების დანართში მითითებული დაინტერესებული პირებისათვის გაცნობა დაევალოს სახალხო დამცველის პირველი მოადგილის თანაშემწეს.

3. წინამდებარე ბრძანებით დამტკიცებული დებულების გამოქვეყნება საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის ვებ-გვერდზე დაევალოს ადმინისტრაციული და ფინანსური დეპარტამენტის ინფორმაციული ტექნოლოგიების მთავარ სპეციალისტს.

4. ბრძანება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე–12კმ, #6), მისი გაცნობიდან 1 თვის ვადაში.

ნინო ლომჯარია

სახალხო დამცველი

დამტკიცებულია: დანართი №1

საქართველოს სახალხო დამცველის
2019 წლის 8 ივლისის #124 ბრძანებით.

ცვლილება შევიდა:

საქართველოს სახალხო დამცველის
2019 წლის 16 ივლისის #131 ბრძანებით.

2019 წლის 20-21 ივნისს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების სავარაუდო გადამეტების ფაქტზე მიმდინარე სისხლის სამართლის საქმის შესწავლის პროცესში შექმნილი სახალხო დამცველის საკონსულტაციო საბჭოს დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. ეს დებულება განსაზღვრავს 2019 წლის 20-21 ივნისს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების სავარაუდო გადამეტების ფაქტზე მიმდინარე სისხლის სამართლის საქმის შესწავლის პროცესში სახალხო დამცველის საკონსულტაციო საბჭოს (შემდგომში - საბჭო) შემადგენლობას, საქმიანობის წესს და მის საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებს.
2. საბჭო წარმოადგენს სახალხო დამცველთან არსებულ სათათბირო ორგანოს და მისი შექმნის მიზანია 2019 წლის 20-21 ივნისს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების სავარაუდო გადამეტების ფაქტზე მიმდინარე სისხლის სამართლის საქმის შესწავლის პროცესის ეფექტურობის მიზნით რეკომენდაციების შემუშავება და გამჭვირვალობის უზრუნველყოფა, ასევე „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის საფუძველზე მომზადებული დოკუმენტების გარშემო (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მოსაზრებების მიწოდება.

მუხლი 2. საბჭოს შემადგენლობა

1. საბჭოს შემადგენლობაში მონაწილეობის მისაღებად მოიწვევიან შემდეგი პირები:

1) დიმიტრი ხაჩიძე	კონსტიტუციის 42-ე მუხლი
2) სოფიო ასათიანი	ღია საზოგადოების ფონდი საქართველო
3) მარინე კაპანაძე	საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა
4) ანი ნასრაშვილი	ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი
5) თამთა კახიძე	საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო
6) გიორგი გოგია	Human Rights Watch
7) მაია მწარიაშვილი	ადვოკატი
8) ქეთევან ჩომახაშვილი	ადვოკატი

9) გიორგი ნონიაშვილი	ილიაუნი, მმართველობის მონიტორინგის ცენტრი/20 ივნისის საპროტესტო მოძრაობის საორგანიზაციო ჯგუფის წევრი
10) ამირან გიგუაშვილი	ადვოკატი, საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია

2. საბჭოს სხდომებს ესწრებიან საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს სახალხო დამცველის პირველი მოადგილე, სახალხო დამცველის მოადგილეები, სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის თანამშრომლები.
3. სახალხო დამცველმა შეიძლება მოიწვიოს სხვა პირები საბჭოს საქმიანობაში მონაწილეობის მიზნით.
4. საბჭოში მონაწილეობა არ არის ანაზღაურებადი.
5. საბჭოს წევრს შეიძლება უფლებამოსილება შეუწყდეს პირადი განცხადების საფუძველზე ან სახალხო დამცველის გადაწყვეტილებით.

მუხლი 3. საბჭოს საქმიანობა

1. სახალხო დამცველი საბჭოს გააცნობს 2019 წლის 20-21 ივნისს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების სავარაუდო გადამეტების ფაქტზე მიმდინარე სისხლის სამართლის საქმის შესწავლის მიმდინარე და საბოლოო შედეგებს, მიგნებებს და იდენტიფიცირებულ პრობლემებს.
2. საბჭოს არ წარედგინება ისეთი ინფორმაცია, რომელიც შეიცავს ოპერატიულ-სამძებრო ან სახელმწიფო საიდუმლოების და პერსონალური ინფორმაციის შემცველ მონაცემებს.
3. საბჭოს წევრებს აქვთ უფლება გაასაჯაროვონ ის ინფორმაცია, რომელიც მათ მიეწოდებათ მათთან გამართულ შეხვედრებზე, თუ სხვა რამ არ იქნება შეთანხმებული.
4. საბჭოს წევრები სახალხო დამცველის აპარატს წარუდგენენ მათ მოსაზრებებს გამოძიების ზედამხედველობის ეფექტურობასთან დაკავშირებით.
5. საბჭოს შეხვედრებს იწვევს სახალხო დამცველი.
6. საბჭოს საქმიანობა აისახება საინფორმაციო დოკუმენტ(ებ)ში, სადაც აღწერილი იქნება საბჭოს წევრებთან განხილული ძირითადი საკითხები.
7. საბჭოს შეხვედრებზე დასწრების უფლება აქვთ ამ დანართში მითითებულ პირებს ან სხვა პირებს, სახალხო დამცველის გადაწყვეტილებით.
8. საბჭოს საქმიანობის დასრულების შემდეგ მზადდება საქმიანობის ერთიანი საინფორმაციო ანგარიში.